



აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 4 ივლისი, 2014 წელი

დრო: 15:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ტიფლის დეველოპმენტი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
2. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე; ლიბერალური აკადემია - თბილისი, დირექტორი
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. დავით ბირკაძე - სასოფლო სამეურნეო კოორპორატივების განვითარების სააგენტო
5. სალომე სიჭინავა - ლიბერალური აკადემია - თბილისი
6. გოგიტა ღვედაშვილი - ლიბერალური აკადემია - თბილისი

განსახილველი საკითხები

- ❖ პრეზენტაცია „იმიგრაციის გავლენა მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში“

შეხვედრა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა და ისაუბრა მიწის გასხვისების პრობლემებზე საქართველოში.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ ევროპული ინიციატივა -

ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ განხორციელებული კვლევის პრეზენტაცია გამართა, თემაზე „იმიგრაციის გავლენა მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში“.

კვლევის მიზანი იყო, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტების შესწავლა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური შედეგები. კვლევა ასევე, მოიცავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში არსებული გამოწვევების ანალიზს. პროექტის ფარგლებში ეკონომიკურ და სამართლებრივ შეფასებებთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, წარმოდგენილი იყო პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში არ ხდება მიწის გასხვისების საკითხის ღრმა შესწავლა და გამოთქვა წუხილი, ამ სფეროში რეგულაციების არარსებობის გამო.

ქვეჯგუფის წევრებმა იმსჯელეს მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში, მიმდინარე გამოწვევებზე და განიხილეს პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები.

ქვეჯგუფის კოორდინატორმა მაღლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს შეხვედრაში აქტიური ჩართულობისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია